ცნობის ფურცელი

№ 2504 | სამშაბათი, 25 მაისი | 1896—1904 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 2504

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვაკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

რედაქციისაგან.

ვაცნობებთ ხელის მომწერთ, რომ ვისაც ჟურნალ-გაზეთის დასაკვეთათ შემოტანილი აქვს მარტო „ცნობის ფურცლისთვის“ 3 მან. და 5 ან 6 მან. „მოამბე“-„ცნობის ფურცლისთვის“ დასამატი ფული უნდა გამოგზავნონ მაისის გასვლამდის, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოცემანი 1-ლ თიბათვიდან აღარ გაეგზავნებათ.

24 მაისს, დილის 5 საათზე გარდაიცვალა

ანნა ქაიხოსრო ბროძელის ასული ბაქრაძისა,

რასაც ეკატირინე ზაალის ასული ბროძელისა, ელენე ქაიხოსროს ასული ანტონოვსკისა და სპირიდონ იოსების ძე ბაქრაძე შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. გარდაცვალებულს გაასვენებენ 26 მაისს დილის 9 საათზე პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკლესიაში, სადაც დაკრძალულიც იქმნება. პანაშვიდი 26 მაისს საღამოს 7 საათზე. თუმანოვის ქუჩა, სახლი მიქაძისა. (1—217—1)

ოთხშაბათს, 26 მაისს, ს. ნოსირის (სენაკის მაზრა) წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქნება ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

პავლე ხუნწარიას

სულის მოსახსენებლად, რასაც მამა მისი მარკოზ გიორგის ძე და ძმანი ივანე და გრიგოლ მარკოზის ძენი ხუნწარიები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. წირვა დილის 9 საათზე დაიწყება. (1—1)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

სთხოვს გუბერნიის თავად-აზნაურთ მობრძანდნენ თავად-აზნაურობის საგუბერნიო საგანგებო კრებაზე, რომელიც მოხდება ივნისის 12-ს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, თავ. ქობულაშვილის სახლში (არშაკუნისეული, გრიბოედოვის ქუჩაზე). კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს ტფილისის სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის მოგებათა განაწილების პროექტი. (6. 3—1)

ქართული თეატრი. შაბათს, 29 მაისს.

არტისტის **ვასო აბაშიძის** სასარგებლოდ

ქართულ თეატრის არტისტების მიერ

წარმოდგენილი იქნება: I **ცხოვრების გარეშე** კომ. 4 მოქ. თხზ. პროტოპოპოვისა.

II. ახალი პიესა **დარისპანის გასაჭირი** სცენები 1 მოქ. თხზ. დ. კლდიაშვილის ა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი საფაროვ-აბაშიძე, გაბუნია-ცაგარელი, კარგარეთელი, ნებიერიძე, ჯავახიშვილი, დავითიშვილი, როინელი; ბ-ნნი: აბაშიძე, გუნია, კ. მესხი, სვიმონიძე, შათირიშვილი, შალიკაშვილი, მოსკოველი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე. (6—უ.—1)

ვერაზე, ოლგინის ქუჩის ბოლოში **იყიდება ნაწილ-ნაწილად მიწა** კარგის პირობებით. მსურველთ დაწვრილებით ცნობები შეუძლიანთ გაიგონ: სასახლის ქუჩაზე მ. გ. გულასპოვთან და ოლგინის ქუჩაზე № 18 რ. დ. ფირაქოვთან. (10—8)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. მ. ხოზოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

მ. ა. ზეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ექ. ქალ მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მ., ონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ა. მ. ხოზოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ., საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვარნაძისა.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (20—12)

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თე.—0—87)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე. ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე. და საღამოობით 5—7-მდე.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 მაისი

ნიკოლაევი. მცხოვრებლებმა და ქარხნის მრავალმა მუშამ დიდის ამბით გააცილეს წყნარ-ოკეანეს მეორე ესკადრის ფლაგმანად დანიშნული ქალაქის უფროსი, კონტრ-ადმირალი ენკვისტი, რომელიც პეტერბურგს წავიდა. მცხოვრებლებმა და დაწესებულებებმა ამით პატივისცემა გამოუცხადეს საყვარელ ადმირალს, რომელმაც წასვლის წინ ქალაქის წყლის მილის საძირკველი ჩაჰყარა. ქალაქმა უკვდავ-ჰყო ადმირალის სახელი სასწავლებლებში სტიპენდიების დანიშვნით.

სამარა. წავიდა შორეულ აღმოსავლეთში წითელ ჯვრის ადგილობრივ კომიტეტის სასანიტარო რაზმი, რომელიც გააცილეს გუბერნატორის მეუღლემ, ვიცე-გუბერნატორმა და ხალხმა.

რიაზანი. 23 მაისს ყოვლად-სამღვდელო არკადიმ, გუბერნატორის, მოხელეთა და ხალხის თანადასწრებით, გადაიხადა პარაკლისი მოედანზე შორეულ აღმოსავლეთში ჯარის გაგზავნის გამო. ჯარის ნაწილებს დაურიგეს ხატები, აფიცრებსა და ჯარის-კაცებს პატარა ხატები და ჯვრები. ოფიცრებს გაუმართეს საუზმე. ჯარის-კაცებსაც გაუმასპინძლდნენ.

ირკუტსკი. თავადი ხილკოვი დაბრუნდა მანჯურიიდან და თვითონ ხელმძღვანელობს ბაიკალის გარშემო რკინის გზაზე მუშაობას.

ტოკიო („ვოლფის სააგ.“). ადმირალი ტოგო იუწყება, რომ პორტ-არტურის ახლო მყოფ კრეისერის „მიტოზეს“ უფროსისაგან მიღებულ უმავთულო დეპეშით, ლიაოტეშანის მაღლობებზე დაუნახავთ 4 ანძა და სადარაჯო კარავი. ერთ ანძაზე მოწყობილია ინსტრუმენტები უმავთულო ტელეგრაფისათვის.

(ღამის დეპეშები იხილე მე-3 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „დეილი მეილ“-ი იუწყება: გენ. კუროპატკინი თითონ აპირებს იაპონიის ჯარზე დაცემასაო. ამბობენ, გენ. რენენკამფის კავალერია ზურგიდან მოექცა იაპონიის ჯარსაო. („რ. ლ“.).

ფრანგული გაზ. „ეკო დე პარი“ ჰფიქრობს, როცა იაპონელები პორტ-არტურისან ბრძოლით დაიღლებიან, გენ. კუროპატკინი მაშინ ზურგიდან დაეცემა იაპონიის ჯარსაო. გენ. კონდრატოვიჩი გენ. კუროკის ჯარს გადუდგება და წინ აღარ გაუშვებსო. („რ. ლ.“).

„დეილი ექსპრეს“-ს ატყობინებენ ჩიფუდან: რუსის ჯარი ლიაოიანიდან სამხრეთისაკენ დაიძრა. ამ ჟამად იაპონელების კავალერია რუსის კავალერიას დაუახლოვდა. ფინხუანჩენიდან იაპონელებმა საველე არტილერია გაგზავნეს ლიაოიანისაკენ. ხმა დადის, იაპონელებმა მოტიენლინგის ქედი დაიჭირესო. ჰფიქრობენ, მალე დიდი ბრძოლა მოხდებაო. („რ. ს.“).

„ლოკალ ანცაიგერ“-ი იუწყება: რუსის გენერალ გრაფ კელერს ებრძანა, გენ. კუროკის არმიას სინიანისაკენ ნუ გამოუშვებო. („ბ. ვ.“).

ამერიკული გაზეთები იუწყებიან: გენ. კუროკიმ 14 მაისს სადილი გამართა და ყველა უცხო სახელმწიფოს სამხედრო წარმომადგენლები მოიწვია. ინგლისის წარმომადგენელმა ჰამილტონმა სიტყვა წარმოსთქვა და იაპონელებს ფლოტის ზარალისა გამო თანაგრძნობა გამოუცხადა. ჰამილტონს ჯერ ლაპარაკი არ გაეთავებინა, რომ ამბავი მოვიდა, იაპონიის მეორე არმიამ ცინჩოუ დაიჭირაო. („რ.“)

იაპონიის მთავრობამ ინგლისში ვილსონის საზოგადოებისაგან გემი „ონგო“ იყიდა 120 ათას მანეთად. („ბ. ვ.“).

პორტ-არტური. „დეილი მეილ“-ი იუწყება: პორტ-არტური ყველას მიუვალ ციხედ მიაჩნიათ. მეციხოვნე ჯარი ყოჩაღადაა და ჯანმრთელადაა. („რ. ს.“)

ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ: პორტ-არტურთან რუსებმა ხუთი პირი ახალი სიმაგრე ააშენესო. („ბ. ვ.“)

„მორნინგ პოსტ“-ის კორესპონდენტი იუწყება ნიუჩუანიდან: იაპონელების აზრით, რუსებს პორტ-არტურში 20 ათასი ჯარის-კაცი ჰყავთ. პორტ-არტურიდან ჩინელები მოდიან და ამბობენ, პორტ-არტურში რუსებს ეხლავე აკლიათ საკვები სურსათიო. იაპონელებს იმედი აქვთ, სამს თვეზე შიმშილით დავინებებთ პორტ-არტურის ჯარსაო. („რ.“)

„დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი იუწყება: იაპონიის მეორე არმიას პირველი, მესამე და მეოთხე დივიზიები შეადგენენ; მალე მეხუთე და მეთერთმეტე დივიზიებიც ამ არმიას მიემატებიანო. ასე რომ იაპონელებს პორტ-არტურთან სულ მცირედ 75 ათასი კაცი ეყოლებათო: („რ. ს.“).

„დეილი ქრონიკლ“-ს ატყობინებენ ტოკიოდან: პორტ-არტურზე იერიშს იაპონელები დაახლოვებით ივნისის 15 (ახ. სტ. ჩვენებურად 2 ივნისს) მიიტანენო („რ. ვ.“).

„ნიუ-იორკ ჰერალდ“-ი სწერს: ივნისის დამდეგს იაპონელები უსათუოდ მედგარ იერიშს მიიტანენ პორტ-არტურზეო. („რ. ს.“).

„ლოკალ-ანცაიგერ“-ი ჰფიქრობს: იაპონელები არა მსხვერპლს არ მოერიდებიან, ოღონდ პორტ-არტური აიღონ და იქაური ესკადრა გაანადგურონო. („რ. ს.“).

„დეილი ექსპრეს“-ს დეპეშით ატყობინებენ ჩიფუდან: ჩინელებმა ამბავი მოიტანეს, პორტ-არტურში ყველას, ვისაც-კი იარაღის ტარება შეუძლიან, იარაღი დაურიგესო. ქალები და ბავშვები სიმაგრეების ქვეშ მიწურ სახლებში ცხოვრობენო. ქალაქ გარედ, სადაც-კი მაღალი ადგილი იყო, ყველგან გაამაგრეს და ყველგან ჯარი ჩააყენესო.

„რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო თანამშრომელ ბ-ნი ს. კ. ფიქრობს, გენ. სტესელი პორტ-არტურის გზაზე ჯერ ანძეშანის ქედზე გაუმაგრდება იაპონელებს, მერე შანლინის ქედზეო, მაგრამ „დეილი ტელეგრაფ“-ი იუწყება: რუსებმა ანძეშანის პოზიციები მიატოვესო. გაზეთი სწერს: გენ. ოკუმ მოახსენა იაპონიის მთავარ-შტაბს: 13 მაისს საღამოს იაპონიის ჯარი ნანგუანლინის სამხრეთით სადგურ სანშილიპუში შედგა შესასვენებლად და შუაღამისას პორტ-არტურისაკენ წავიდა. რუსებმა თავიანთი პოზიციები ჩენძიატუნის აღმოსავლეთითა და ანძეშანის ქედზე მიატოვეს, ზარბაზნები კი თან წაიღესო. („რ. ვ.“).

ბრძოლა ცინჩოუსთან. „რუსკია ვედომოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან: ყველანი ერთხმად ამბობენ, რუსის უმთავრესი პოზიციები ცინჩოუს ყელზე მშვენივრად, თანამედროვე სამხედრო ტეხნიკის თანახმად, იყო გამაგრებულიო. ამ პოზიციებს არაფერი ნაკლი და წუნი არა ჰქონდა. ტყვიის მტყორცნელ მანქანებისა („პულემეტ“) და 68 საველე ზარბაზანს გარდა, რუსებს დიდი მძიმე ზარბაზნებიც ჰქონდათ. მსროლელთათვის სანგრები იყო აშენებული რამდენსამე რიგად. იაპონელებს 40 ათასი კაცი ჰყავდათ. იაპონიის ჯარს გენ. ოკუ უწევდა ხელმძღვანელობას; პირველ დივიზიას გენ. პრინცი ფუშიმა უფროსობდა, მესამე დივიზიას გენ. ოშიმა, მეოთხეს—გენ. ოგავა. რუსის ჯარს გენ. ფოკი უფროსობდა. აქ ამბობენ, იაპონიის ფლოტისა და არტილერიის დახმარებას მაგდენი მნიშვნელობა არა ჰქონდა; სხვა არა იყოს-რა დიდ ზარბაზნების გადატანა ბრძოლის დროს შეუძლებელი იყო. ცინჩოუსთან იაპონელებმა უმთავრესად შტიკისა და თავიანთ თავგანწირულების წყალობით გაიმარჯვესო. ამას გარდა, იაპონელები მეტნიც იყვნენ რუსებზეო“.

„დეილი ექსპრეს“-ს ატყობინებენ ტოკიოდან: ნანშანის (ცინჩოუს სამხრეთით) პოზიციაზე 13 მაისს რუსებს 20 ათასამდე ჯარის-კაცი ჰყავდათ და ციხისა და საზღვაო ზარბაზნები ეწყოთო.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი იუწყება: ცინჩოუს შტურმის დროს იაპონელებს ბევრი აფიცერი მოუკლეს; ზოგს ბატალიონს ერთი აფიცერი აღარ დარჩა, მაგრამ აფიცრების მაგივრად უნტერ-აფიცრები გაუძღვნენ ჯარსაო. („რ. ლ.“).

ერთს იაპონელ აფიცერს უთქვამს „ტაიმს“-ის კორესპონდენტისათვის: რუსებს ცინჩოუს ყელზე მეტად მაგარი პოზიციები ეჭირათ და თანამედროვე სამხედრო ხელოვნების თანახმად ჰქონდათ გამაგრებულიო. ნანშანის ფორტებზე რუსებს მძიმე ზარბაზნებიც ეწყოთ,

იაპონელებს-კი მხოლოდ საველე ზარბაზნები ჰქონდათ, რადგან მძიმე ზარბაზნების მოტანა შეუძლებელი იყო. ასეთ მაგარ პოზიციების აღება შეუძლებლად მიაჩნდა ბევრს, მაგრამ ჩვენმა ჯარმა ეს შეუძლებელი საქმე შეიძლო და რუსები ცინჩოუს პოზიციებიდან განდევნა... („რ. ლ.“.).

„დეილი მეილ“-ი იუწყება: ერთმა რუსის აფიცერმა პორტ-არტურიდან ლიაოიანში მისვლა მოახერხა და გენ. კუროპატკინს გენ. სტესელის დეპეშა მიუტანა. ამ აფიცერმა ილაპარაკა: პირველად იაპონელებმა ვერ შესძლეს ცინჩოუს ყელის აღება, მაგრამ მერე ახალი ჯარი მოიშველიეს და რუსებსა პოზიციები დაატოვებინესო. რუსებმა ტალიენვანი და დალნიც მიატოვეს და პორტ-არტურისაკენ დაიხიესო. („ბ. ვ.“)

ტყვე რუსები იაპონიაში. იაპონური გაზ. „მანჩოოხო“ იუწყება: სასებოს საავადმყოფოში ორი დაჭრილი რუსის მატროსი იმყოფება. ეს მატროსები ნაღმიან გემ „სტერეგუშჩი“-დან არიან; ერთსა ჰქვიან ფედორ იურიევი,—ფეხის ძვალი აქვს დამტვრეული; მეორეს ივან ფილინსკი,—ტანი აქვს დაშავებული. იაპონიის საზღვაო მინისტრმა იამამოტომ ამ ტყვეებს ამნაირი წერილი მისწერა: „თქვენ მამაცად იბრძოდით და მედგრად იცავდით თქვენ სამშობლოსა. თქვენი მძიმე მოვალეობა ისე შეასრულეთ, როგორც ნამდვილ მეზღვაურს ეკადრება. გულწრფელად გაქებთ: ნამდვილი ვაჟკაცები ჰყოფილხართ. ნურაფრისა ნუ გედარდებათ. ჩვენი საზღვაო საავადმყოფო მშვენივრადაა მოწყობილი, ექიმებიც სულ გამოცდილი ხალხი არიან. გულწრფელად მსურს, რომ მალე მთლად მორჩეთ და ომის გათავების შემდეგ მშვიდობიანად სამშობლოში დაბრუნდეთ“. სასებოში ორი კარგა მყოფი რუსის მატროსიცაა. ალექსი ოსიხინი და ვასილი ნოვიევი. ესენიც „სტერეგუჩი“-ზე არიან დატყვევებულნი. („რ.“).

იაპონელ ინჟინერის გამოგონება. იაპონური გაზ. „მანჩოოხო“ იუწყება: ეხლანდელ ომის დროს ინჟინერ მიაბაროს ორთქლის ქვაბმა დიდი სამსახური გაუწია იაპონიის ფლოტსაო. საზღვაო აკადემიის პროფესორი მიაბარო ფლოტის უფროსი ინჟინერია; ამ ჟამად კონტრ-ადმირალის ჩინი აქვს. მიაბაროს ქვაბმა არისაკის ზარბაზნებსა და შიმოზეს წამალზე ნაკლები სარგებლობა როდი მოიტანა. ეს ქვაბი წარსულ წლის აპრილში შემოიღეს იაპონიის ფლოტში. ჯავშნიან გემის ჩვეულებრივ ქვაბს—20 ათას ინდიკატორის ძალისას—1,600 ტონის ადგილი უჭირავს გემზე; მიაბაროს ქვაბს ისეთივე ძალა აქვს და ადგილი-კი თითქმის ერთიორად ნაკლები უჭირავს: სულ 800—900 ტონისა. ჩვეულებრივი ქვაბი—20 ათას ინდიკატორის ძალისა—900 ათას იენაზე (1 იენა—97 კაპ.) ნაკლებ არა ჯდება, მიაბაროს ქვაბი-კი იმავე ძალისა 500 ათას იენაზე მეტი არა ჯდება. ამას გარდა მიაბაროს ქვაბი ქვანახშირის ხარჯსაც ამოკლებს. გამოცდამ დაამტკიცა, რომ ამ ქვაბის წყალობით ჯავშნიან გემს წელიწადში 150 ათას იენით ნაკლები ხარჯი სჭირდება ქვანახშირისათვის. („რ.“).

ახალი ამბავი

✦ ტფილისის **სათავად აზნაურო სკოლის საზოგადოების** კრებამ მეორე სხდომაზე კვირას, 23 მაისს, მიიღეს კომიტეტისაგან წარმოდგენილი პროექტი სკოლის მოსამსახურეთა შტატისა. საზოგადოების არსებობის 25 წლის შესრულების აღსანიშნავად საზოგადოებამ გადასწყვიტა, კომიტეტის წინადადების თანახმად, იყოლიოს სამი სტიპენდიანტი ქართველ მაჰმადიანთაგან ზაქათალის და ახალციხის მხრისა და ბათუმის ოლქიდან. გარდა ამისა თ. კ. ი. და კნ. ელ. ნ. მუხრან ბატონის მეუღლის უხვ შემოწირულების გამო კრებამ დაადგინა, იყოლიოს ორი სტიპენდიანტი იმათ სახელობაზე. საპენსიო წესდებისა და საზოგადოების წესდების ორი მუხლის შეცვლის საქმე გადაიდო ორის კვირით.

✦ „პრავ. ვესტნიკ“-ის უკანასკნელ ნომერში (№ 114) დაბეჭდილია **უმაღლესი ბრძანება** ამიერ-კავკასიაში სოფლად სამკურნალო საქმის მოწყობის შესახებ. მკითხველებს ამას წინად უკვე გავაცანით შინაარსი ამ ბრძანებისა. როგორც ვუწყით, ამ საქმისთვის პირველ სამ წელიწადს (1904—1906) გადაიდება 400 ათასი მანეთი, მეორე სამ წელიწადს—587,300 მანეთი წელიწადში.

✦ 23 მაისს მოხდა კრება დედათა სამკურნალო ინსტიტუტისა და დედათა უმაღლეს **კურსების მოსწავლე ქალთა** დამხმარებელ საზოგადოებისა. დაესწრო 30 წევრი. კრებამ გამგეობის თავმჯდომარედ აარჩია ქ-ნი ვურცელი, თავმჯდომარის თანაშემწედ—მ. ფ. კლაუსი, ხაზინადრად—ქ-ნი ა. ისაკოვი; სარევიზიო კომისიის წევრებად—პლამენევსკი, ლაბუკსკი და მიხაილოვი, ხოლო კანდიდატებად—ივანოვი, რ. ა. იოანესიანი და ქ-ნი ნ. ა. ვესელოვზოროვი.

✦ როგორც „ნოვ. ობ.“-ს ატყობინებენ, 20 მაისს ქუთაისის ციხეში სისრულეში მოუყვანიათ სამხედრო სასამართლოს განაჩენი, რომლის ძალითაც სერაფიონ კვარაცხელიას, ნესტორ კვარაცხელიას და ანტონ ლოტარიას თავად დადიანისა და იმის ორ მოსამსახურის მოკვლისთვის სიკვდილით დასჯა გადაეწყვიტათ. სიკვდილით 20 მაისს დასაჯეს მხოლოდ სერაფიონ კვარაცხელია. ნ. კვარაცხელიასა და ა. ლოტარიას სიკვდილით დასჯა კატორგაში გაგზავნით შეეცვალათ.

✦ ამიერ-კავკასიის **საეროზო თანხიდან სამრევლო-საეკლესიო** სკოლისათვის მდგომარე წელს გადაიდო 17,300 მანეთი.

✦ გუშინ **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საბჭომ წარუდგინა ტფილისის საგუბერნიო სასტატისტიკო კომიტეტს ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1903 წელს. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, საზოგადოებას უმთავრესი ყურადღება მიუქცევია სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა საკითხების პროგრამისთვის და მევენახეობა-მეღვინეობის წარსამატებელ საშუალებათა შემუშავებისათვის. ამავე წელს საზოგადოებამ ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიებში 8 ადგილას გახსნა წამლებისა და იარაღების საწყობი. მთელი წარმოება საწყობებისა ამ წელს ავიდა 100 ათას მანეთამდე.

✦ თელავის მაზრის უფროსმა გუბერნატორს შემდეგი მოხსენება წარმოუდგინა: **წყალ-დიდობის თავიდან ასაცდენად** მცხოვრებნი ყოველ წლივ მდინარეების ნაპირებს ამაგრებენ ხის მასალით, რომელიც ჩქარა ლპება. ყოველ წელიწადს გლეხობას ხელახლა უხდება მუშაობა, რაიცა მძიმე ტვირთად აწვება უიმისოდაც ღარიბ გლეხობას. ადიდებული მდინარეები თავისას არ იშლიან და ყოველ წელს ვენახებს და მინდვრებს დიდ ზარალს აყენებენ. ამისათვის საჭიროა მთავრობამ ამას ყურადღება მიაქციოს გლეხობის უსახსრობისა გამო და ამ მდინარეთა ნაპირები საძირკვლიანად შეამაგროს იმ ახალის საშუალებით, რომელიც საბოლოოდ უზრუნველ ჰყოფს მცხოვრებთ ამ დიდ ზარალისაგანაო.

✦ 23 მაისს, ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა, რვა ხმოსანმა, გამგეობის ზოგიერთა მოსამსახურემ და ადგილობრივ გაზეთების თანამშრომლებმა დაათვალიერეს კუკიის სასაფლაოს მარცხნივ ქალაქის ის ადგილები, სადაც ხმოსან ხუდადოვის მეცადინეობით **ტყე გაშენდა**. სივრცით ეს ადგილი 100 დესეტინა იქნება. ამოდელა ადგილი დღემდე გახრიოკებული იყო, დღეს კი შემოსილია ტყით და მალე ქალაქის საუკეთესო კუთხედ გადაიქცევა. ტყეში სასეირნოდ ხეივნები იმართება. კუკიის ტყიდან შეკრებილნი წავიდნენ ავლაბრისა და ნავთლუხის ქალაქის ადგილების დასათვალიერებლად. ტფილისს ამ ნაწილებში 5,000 დესეტინა ადგილი ჰქონდა, მაგრამ უპატრონობისა და უყურადღებობის გამო ქალაქმა აქ თითქმის 1000 დესეტინამდე დაჰკარგა.

✦ ამას წინად ახალქალაქის მოურავმა შუამდგომლობა აღძრა მთავარ-მართებლის წინაშე ამ ქალაქში **საჯარო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსების** შესახებ. ამ საქმის თაობაზე მთავარ-მართებლის კანცელიარიამ გუბერნატორს თავისი აზრი მოსთხოვა. გუბერნატორმა გუშინ, 24 მაისს, აცნობა, რომ იგი წინააღმდეგი არ არის დაარსდეს ხსენებული წიგნთ-საცავ-სამკითხველო.

✦ ინჟინერმა რობიმ 24 მაისს ტფილისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, ნება მიეცეს **მამა დავითის მთაზე,** სადაც ამ ჟამად ფუნიკულერის სადგურს აშენებს, დააარსოს საპოლიციო სადარაჯო. სადარაჯოში იქნება სამი პოლიციელი და ერთი პოლიციის მოხელე (ოკოლოდოჩნიკი). ხარჯის გაღებას თითონ რობი კისრულობს.

✦ უწმ. სინოდის განკარგულებით, **ქუთაისის სასულიერო სემინარიის** რექტორი არქიმანდრიტი სილვესტრი გადაყვანილ იქმნა ამავე თანამდებობაზე სმოლენსკის სემინარიაში.

✦ სიღნაღიდან გვატყობინებენ: საფოსტო გზა ისე გაფუჭებულია, რომ, არამც თუ ეტლებისათვის, ქვეითად მოსიარულეთათვისაც-კი საშიშო გამხდარა.

✦ როგორც მუღავრიდან (ბორჩალოს მაზრა) გვატყობინებენ, ჭირნახული, რომელსაც აქამდის კარგი პირი უჩანდა, თოვლმა და გადაღებულმა წვიმებმა სულ გააფუჭა.

✦ იანეთის სასულიერო სკოლის ამშენებელი კომიტეტის თავმჯდომარე ი. ი. კოხრეიძე გვთხოვს დავბეჭდოთ: „უგულითადეს მადლობას ვუცხადებთ, იანეთის სასოფლო სკოლის ამშენებელ კომიტეტის მხრით იმათ, რომელთაც კეთილ ინებეს და იანეთის სკოლის შენობის გასაკეთებლად შემოსწირეს. სია შემომწირველთა: ეპისკოპოზმა ალექსანდრემ—10 მან., ს. ფესვიანიძემ—25 მან., ე. კოხრეიძემ—20 მან., პ. ჯვარიშეიშვილმა—20 მან., ი. ყუფერაძემ—5 მან., გ. ჯვარიშეიშვილმა—5 მან., თ. კოხრეიძემ—3 მან., ა. მელიამ—2 მან., ლ. რუხაძემ—1—74 კ., ი. ვიტკევიჩმა—1 მ.—20 კ. მ. ჩიგოგიძემ, ბ. მამალაძემ, ს. კიღურაძემ, პ. გაგუამ, კ. რუხაძემ, გიორგი, ანდრია და ილ. საბახტარიშვილებმა თითო მანეთი და მ. ჭავჭანიძემ 50 კ. სულ 101—44 კ. ამასთანავე გულწრფელ მადლობას ვუცხადებთ საპროფესიონალო განყოფილების ხელოსან ქალს ქ-ნ ლ. კოპალეიშვილს და მასწავლებელს გრ. ივ. კოხრეიძეს, რომელთაც პირადი სიამოვნება მოიკლეს და საზოგადოებას რამდენისამე თვის განმავლობაში უსასყიდლოდ სკოლის დროებით მოსათავსებლად სახლი დაუთმეს.

✦ ბლაღ. მღვ. ვას. კაზმოვი და მასწავლებელი ბ. ბერიშვილი გვთხოვენ დავბეჭდოთ: „ღრმესს მადლობას ვუცხადებთ მარტყოფის ქსენონის გამგეს ექიმ ნიკოლოოზ იაგულოვს, რომელმაც კეთილ-ინება და მიმდინარე 1904 წლისათვის თავისის ხარჯით გამოუწერა ამავე სოფლის საეკლესიო-სამრევლო სკოლას „მერცხალი“.

✦ ლიხაურის მამასახლისი ვაშაყმაძე და ორკლასიან სკოლის ზედამხედველი მენაბდე გვთხოვენ დავბეჭდოთ: „როგორც ჩვენის, ისე მთელის ლიხაურის საზოგადოების (ოზურგეთის მაზრისა) მხრივ მადლობას ვუცხადებთ ვ. მ. მენაბდეს და ვ. მ. კალანდარიშვილს, რომელთაგან პირველმა შემოსწირა ლიხაურის სკოლის სამეურნეო განყოფილების შენობის ასაგებად 4 მანეთი, ხოლო მეორემ—15 მანეთი“.

✦ სოფ. ხორხელში (კახეთი) 13 მაისს ჩხუბის დროს მოუკლავთ თოფით სოფ. ალვანის (თიანეთის მაზრა) მცხოვრები გიორგი გორნაკიშვილი.

✦ 17-დან 24 მაისამდე ტფილისში გადამდებ სენით ავად გამხდარა 23 სული. წითელა ისე მოედვა ქალაქის მცხოვრებთ, რომ ეპიდემიური ხასიათი მიიღო. 19 აპრილიდან 24 მაისამდე წითელათი ქალაქში ავად გამხდარა 73 სული.

✦ თელავის მაზრაში ამ თვეში შემდეგი ამბები მომხდარა: 1. თელავის საპყრობილედან გაქცეულა ომარ-ქამა-ოღლი, მაგრამ მალე შეუპყრიათ; 2. სოფ. ფშაველში ადგილობრივ მცხოვრების იოსებ სტეფანაშვილის შვილი ვლადიმერი (11 წლისა) მდინარე სტორში გასვლის დროს დამხრჩვალა; 3. სოფ. ქუჩატანში, თავის გომურში, უპოვნიათ მოკლული ამავე სოფლის მცხოვრები არჩილ საბრალაშვილი; ბოროტ-განმზრახველები ვერ უპოვნიათ; 4. სოფ. ვანთაში ადგილობრივ მცხოვრებს ანდრო კირვალიძეს უცაბედად თოფი გავარდნია, მოხვედრია გულში და იქვე მომკვდარა; 5. სოფ. კურდღელაურის გლეხი ივანე შათირიშვილი, რომელსაც ბლაღოჩინ მღვდლის იმნაიშვილის მოკვლა და წინანდელის ეკკლესიის გაქურდვა ჰბრალდებოდა, შეუპყრიათ და საპყრობილეში ჩაუსვავთ; 6. სოფლებს აწყურსა და ზემოხოდაშენში (ოქიოს სოფლის საზოგადოება) დიდი სეტყვა მოსულა, რომელსაც აწყურში 25 კომლის 10 დესეტინა ვენახი გაუფუჭებია და 2500 მანათის ზარალი მიუყენებია, ხოლო ზემოხოდაშნელების 20 კომლ გლეხისათვის 100 დესეტინა გაუფუჭებია და 3200 მანეთის ზარალი მიუყენებია.

ტფ. სააღგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება
22 მაისი

22 მაისს, საღამოს, მოხდა უკანასკნელი სხდომა ტფ. სათავად-აზნ. ბანკის რწმუნებულთა კრებისა.

პირველად კრებას მოხსენდა პროექტი ბანკის მსახურთათვის საპენსიო კასსის დაარსების შესახებ. რადგან რწმუნებულნი დაწვრილებით ვერ მოასწრეს პროექტის შესწავლა, მისი განხილვა და დამტკიცება

ფელეტონი

სოხუმის ამბები

ბედის უკუღმართობა.—ჩვენი ბანკი.—მეგრელებისა და მემამულეთა დავა.—სულიერნი მამანი და მათი სამწყსო.—ბ-ნი ხორავა და ოჩამჩირელნი.

არა მგონია, ცის ქვეშ ისეთ უბედურ ვარსკვლავზე სხვა რომელიმე ქალაქი გაჩენილიყოს, როგორიც ჩვენი ქალაქია. წარა-მარა მოხეტიალე ვიგინდარა, ძალად მაცხონე ყარაულების შიშით საცნობისათვის საკუთარი სახელი ვეღარ გვიწოდებია. აქ თეთრს თეთრი რომ დაარქვა, შავს—შავი, მაშინვე ასტყდება ვაი-უშველებელი: ავაზაკად, ქვეყნის გამცემად, იუდა ისკარიოტელად ჩაგთვლიან და, ვინ იცის, სად გაგკრენ თავს. ყოველის მხრით ხელ-ფეხ შებოჭილია აქაური მცხოვრები ქართველი. სულ უბრალო საქმეა ხომ ნება-დართულ წიგნებისა და გაზეთების ყიდვა,—ამასაც მოკლებულნი ვართ ჩვენ. იმ დროს, როდესაც ზიზილ-პიპილებით მორთული ბიჭი ქუჩა-ქუჩა ატარებს აკრობატ პალმის ორგანოს, ჩვენს გაზეთებს ათასს დაბრკოლებას აძლევენ. მაგალითად, აქ ერთს ახალგაზდა ქართველს დიდი შრომა, ხვეწნა-მუდარა დასჭირდა ჩვენის გაზეთების გაყიდვის ნება-რთვის გამოსატანად. თუ სხვა ქალაქებში თავისი თავი და თავისი შინაური საქმეები სანახევროდ მაინც აბარიათ მცხოვრებთ, აქ ამასაც მოკლებულნი ვართ. ვინ პირშავი კაბედავს აქ ამის მისაგავს რასმეს და იტყვის, ჩემი შინაური საქმეებისა მე უფრო გული უნდა შემტკივოდესო, ან და, ვსთქვათ, მოხუცებული დედა, ან მამა (ახალგაზდებმა ცოტათი მაინც იციან რუსული) მოგიკვდათ და განდათ მისი უკანასკნელი სურვილი აასრულოთ—ქართულად წესი აუგოთ,—ეს უმანკო სურვილიც კმარა დამნაშავეთა სკამზე წამოსკუპდეთ. აქ ბედნიერია ის კაცი, ვინც მხოლოდ პირად ინტერესს ემსახურება და ამ გზაზე უოველი საშუალება კანონიერად მიაჩნიათ. მით უფრო, თუ შენი გვარის დაბოლოვება, ან თვით შინაარსი ხელს უწყობს მისს (გვარის) გადათარგმნას, თუ არა და—ვაი შენს ბრალსა! საზოგადოდ, ჩვენი ხანა გვარებისა და პიროვნების გადათარგმნის ხანაა, გარნა ჩვენს დალოცვილს სოხუმში უკიდურეს მწვერვალამდის მიაღწია ამ მოძრაობამ.

როგორც მკითხველს მოეხსენება, ჩვენ, სოხუმელებსაც, გვაქვს „ბანკი“, თითქმის ერთიანად ქართველთაგან დაფუძნებული და სულ-ჩადგმული. ამ ნორჩს ბანკსაც სათავეში ჩაუდგნენ უცხოეთიდან გადმოხვეწილი ბედის მაძიებელნი. ვინ პირშავი იტყოდა რასმეს სასაყვედუროს, რომ ამ ვაჟბატონთა და მათ დამქაშთ ქვენა გრძნობებით არ ესარგებლნათ და არ ეხელმძღვანელათ: მათი მუდმივი საზრუნავი ის არის, რომ რაც შეიძლება ხელი შეუშალონ ქართველებს ბანკთან რამე დამოკიდებულება იქონიონ, წევრადაც არ იღებენ; არამც თუ ჯამაგირიანი ადგილი ხელში ჩაუგდონ. მაგალითებისათვის შორს არ მოგვიხდება სიარული: ბანკის წევრად თითქმის არც ერთი ქართველი ინტელიგენტი არ მიიღეს,—ექიმს, ჟურნალისტს, მასწავლებელს, ტელეგრაფისტსა და სხვათა მრავალთ წევრობაზე უარი სტკიცეს. ჟურნალისტსა და საზოგადოდ პრესასთან რაიმე დამოკიდებულების მქონებელს აქ სახელი გატეხილი აქვს, პატივი აყრილი, გარნა „ნეიტრალ ექიმმა,“ მასწავლებელმა და სხვებმა რა დააშავეს? ისა, კეთილო მკითხველო, რომ იმათ სწამებენ, ვითომ ეს უკანასკნელნი ისე მუნჯივით თვალებ ახვეული და ყურებ დაცუცული არ ივლიან კრებებზე, როგორც უმეტესობა ჩვენებურ წევრებისა. მაგრამ სცდებიან: ტყუილად შიშობენ,—იმათ ბაგეთაგან მხოლოდ ქართული ვედრებაა მოსალოდნელი: მიიღე მოწყალება, ესა და ეს საქმე გამირიგე და ჩემის ცოდვილიანის ბაგებით სამაგიეროდ ზეცად აღვავლენ წმინდა ლოცვას თქვენს სადღეგრძელოდაო! დიახ, ქალაქი სოხუმი დუმილის, უტყუობის ქალაქია, და არავის არ უნდა ეშინოდეს სამართლიან სიტყვის ძალისა... როგორც თქვენს გაზეთში უკვე იყო აღნიშნული, გასულს მარტს ამ ბანკის წევრთა საზოგადო კრება მოხდა. ანგარიში უკვე იყო დაბეჭდილი და ამიტომ იმის შესახებ არაფერსა ვსწერ. მხოლოდ ას რას მოვაქცევ მკითხველის ყურადღებას: ბანკის თავმჯდომარესა და ორს დირექტორს ჯამაგირები მოუკლეს,—პირველს 2,400 მ. მაგიერ 1,800 მ. დაუნიშნეს, მეორეს 1,200 მ. მაგიერ თითოს 900 მ.; გარდა ამისა 20% წმინდა მოგებისა მათვე დაუნიშნეს ჯილდოთ. ეს ჯამაგირების დაკლება (თუმცა ჯამაგირები თითქმის იგივე რჩება, რადგან მოგების %-დან დანაკლისს შეავსებენ) სამავემ შეურაცხყოფად მიიღო და სამსახურიდან გადადგა. მერე რა არის ამაში სამწუხარო, იკითხავთ,—ერთი გადადგა, მეორეს აირჩევენ მეც ასე მგონია, გარნა არც ასე ყოფილა: უმაღლფილოთ საზოგადოების დამხობის საქმეს შეუდგაო, და არც ესაა გასაკვირველი. მაშ ჩვენი სოხუმი რას სოხუმი იქნებოდა, ასე რომ არ მოქცეულიყო! ვნახოთ, მომავალი რას გვეტყვის...

ქალაქ სოხუმის ახლო-მახლო თავ. გ. დ. შ—ძეს დიდი და მშვენიერი მამულები აქვს. იმის მამულზე ს. ს. გარჩესა და ბაბუშერაში

კრებამ ერთის წლით გადასდო; მხოლოდ დაადგინა ამ წლის მოგებიდან 10 ათასი მან. გადაიდოს საპენსიო კასსის ფონდისათვის.

კრებამ ამავე მიზეზით ერთის წლით გადასდო განხილვა და დამტკიცება დამფასებელთათვის ახალის ინსტრუქციის პროექტისა; მხოლოდ დაავალა გამგეობას ამ ერთის წლის განმავლობაში ბანკმა იხელმძღვანელოს ახალის ინსტრუქციით.

შემდეგ კრებას მოხსენდა 1904 წ. ხარჯთ-აღრიცხვა. ხარჯი ნავარაუდევია სულ 105.220 მან.; აქედან 66.800 მან. ბანკის მსახურთა ჯამაგირია, ხოლო დანარჩენი საზოგადო ხარჯი და დივიდენდის ავანსებია. ხარჯთ-აღრიცხვას კრებამ მიუმატა: 3000 მან. ზედამხედველ კომიტეტის წევრების ჯილდოს გასაძლიერებლად და 1000 მან. მათ მისვლა-მოსვლის ხარჯისათვის. ამ მიმატებით კრებამ სურვილი გამოსთქვა, რომ ზედამხედველმა კომიტეტმა გააძლიეროს ფაქტიური კონტროლი ბანკის საქმეებზე. ხარჯთ-აღრიცხვას მიემატა აგრეთვე ის 10 ათასი მანეთი, რომელიც კრებამ დანიშნა საპენსიო კასსის ფონდისათვის. ამ ცვლილებათა მოხდენის შემდეგ ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცდა.

ამით დასრულდა მორიგ მოხსენებათა განხილვა და კრება არჩევნების მოხდენას უნდა შესდგომოდა, მაგრამ ამ დროს თავად დავით ალექსანდრეს ძე გურამიშვილმა სიტყვის ნება სთხოვა თავმჯდომარეს და დაახლოვებით შემდეგი განაცხადა: „როგორც მოგეხსენებათ, ამ ჟამად რუსეთს დიდ მნიშვნელოვანი ისტორიული მომენტი დაუდგა: რუსის მეომარნი სისხლსა ღვრიან შორეულ-აღმოსავლეთში და ჩვენს სახელმწიფოს განსაცდელი მოევლინა. ამიტომ ყოველი წოდება, საზოგადოება, კერძო ადამიანი მოვალენი არიან დახმარება გაუწიონ იმპერიის დაცვის საქმეს. წინადადებას ვაძლევ კრებას ბანკის მოგებიდან გადასდოს შესაფერისი შეწირულება, როგორც დაჭრილ მეომართათვის, ისე რუსეთის სამხედრო ფლოტის გასაძლიერებლად“. ამაზე ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარემ უგანათ. თავ. პ. ა. გრუზინსკიმ უპასუხა: ბანკის გამგეობასა და კომიტეტს ჰქონდათ ამ საგანზე ბაასი, მაგრამ ვერაფერი გადასწყვიტეს, რადგან ახალის წესით ბანკის მოგების განაწილება ჩვენ-კი აღარ გვეკუთვნის, არამედ თავად-აზნაურობასაო. რწმუნებულთა კრება ამ განმარტებით დაკმაყოფილდა და ის იყო არჩევნების მოხდენას უნდა შესდგომოდა, როცა სიტყვის ნება თავად ვლადიმერ სვიმონის ძე მიქელაძემ მოითხოვა და განაცხადა: მართალია, ბანკის მოგების განაწილება ჩვენს ხელთ აღარ არის, მაგრამ თავად გურამიშვილის წინადადება მეტად დიდმნიშვნელოვანი და საგულისხმიეროა, რომ მოვალენი ვართ უყურადღებოდ არ დავტოვოთ; ჩემის აზრით, ზნეობრივი მოვალეობა გვეუბნება დავადგინოთ, რომ ბანკის რწმუნებულთა კრება სთხოვს თავად-აზნაურობას, ბანკის ამ წლის მოგებიდან გადასდოს შეწირულება დაჭრილთა და ფლოტისათვისო. ამგვარმა განცხადებამ კამათი გამოიწვია. ზოგი იმ აზრისა იყო, რომ კრებას ნება არა აქვს რაიმე სჯა-ბაასი იქონიოს იმ ფულებზე, რომელიც მას არ ეკუთვნის, და რომ თვით თავად-აზნაურობამ იცის, როგორ გაანაწილოს ბანკის მოგება და სხვა. მაშინ კრების თავმჯდომარემ, თავ. დ. ზ. მელიქიშვილმა, განაცხადა: თავად-აზნაურობის კრება 12 ივნისს მოხდება და სწორედ მაშინ იქნება ბანკის მოგების განაწილებაც; რწმუნებულთა უმეტესი ნაწილი თავად-აზნაურობის კრების წევრიცაა და ამიტომ ამ საგანზე სჯა იმ დრომდე გადავსდოთო.

ბოლოს კრება შეუდგა არჩევნებს, რომლის შედეგი უკვე გუშინ ვაცნობეთ მკითხველთ.

რუსეთის ქრონიკა

„რუსკ. პრავდა“-ში დაბეჭდილია ცნობები სახელგანთქმულ რუსეთის მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის შესახებ. გაზეთის თანამშრომელს უნახავს ტოლსტოი სოფელ იასნაია პოლიანაში და დარწმუნებულა, რომ გაზეთებს ყალბი ცნობები გაუვრცელებიათ მწერლის შესახებ.

— გაზეთები სულ ცილს მწამებენო,— უთქვამს ტოლსტოის გაზეთის თანამშრომლისათვის,—სწერენ ჩემზე, გულ-მხურვალედ ეკიდება ომის ამბებს, 30 ვერსის მანძილზე თითონ მოდის ცხენით ომის ამბების შესატყობად და სხვ“.

ამ ჟამად ტოლსტოი კარგად გრძნობს თავს, თუმცა ძალიან გამხდარია განვლილ ბძიმე ავადმყოფობის შემდეგ. რაც ყირიმიდან დაბრუნდა, მას აქეთ ტოლსტოი ზამთარ-ზაფხულ სოფელში ცხოვრობს, ყოველ დღე ბევრს მუშაობს და თავისუფალ დროს ცხენით სეირნობს.

ჩიტის მაზრის (ციმბირი) სოფ. ბარშჩევკის მცხოვრებლები ძლიერ აღელვებულან ამას წინად ერთი ახირებულ ამბის გამო. ამ სოფლის ერთ გლეხს ხორბალი წაუღია ცხენით წისქვილში დასაფქვავად და, სოფელს რომ ცოტათი დაშორებია, მინდორში სამი ქვეითად მიმავალი კაცი დაუნახავს, რომელნიც „იაპონელები“ ჰგონებია. შეშინებულ გლეხს ცხენი მოუბრუნებია და ჰენჰით ისევ სოფელში მისულა და გამოუცხადებია, იაპონელებს წავაწყდი გზაში. ორმოცამდე გლეხი შეგროვილან, შეიარაღებულან თოფებითა, დამბაჩებითა, ცულებითა და კეტებით, სოფლიდან გამოსულან, გამოსდევნებიან „იაპონელებს“ და დაუჭერიათ ეს სამი „იაპონელი“, რომლებიც სატუსაღოდან გამოქცეული ჩერქეზები გამომდგარან.

ქ. ვარშავის ბაღების შესავალ კარებზე შემდეგი საგულისხმიერო განცხადებაა თურმე გაკრული: „აკრძალულია ბაღში ძაღლების შეყვანა; აკრძალულია აგრეთვე გრძელ-სერთუკიან ებრაელთათვის ბაღში შესვლა“.

გაზ. „სარ. დნევნ.“-ში მოთხრობილია შემდეგი მაგალითი გმირულის თავგანწირულებისა. პოკროვი-ურალის რკინის გზაზე ამას წინად სამგზავრო მატარებელი მინავალა. ფერდობი ადგილი იყო და მატარებელიც ძლიერ სწრაფად მიდიოდა. ამ დროს მემანქანემ დაინახა პაწია ბავშვი, რომელიც რკინის გზის ლიანდაგზე თამაშობდა, მატარებლიდან ასე 80-100 საჟენის მანძილზე. გაისმა მძლავრი სტვენა, რომელსაც ბავშვმა ყურადღება არ მიაქცია, მატარებლის გაჩერება-კი შეუძლებელი იყო. ბავშვი სულ თამაშობდა და არ გრძნობდა, თუ რა საფრთხე მოელოდა. ბავშვის დედა (რკინის გზის დარაჯის ცოლი) გამოვარდნილა სახლიდან ბავშვის საშველად, მაგრამ იქვე გულზე შემოჰყრია და დაცემულა. ერთი წუთი კიდევ... და მატარებელი გასრესდა ბავშვს. და ამ დროს მემანქანეს თანაშემწე ორთქლ-მავლის წინა პლატფორმაზე გამოვარდნილა, თვალის დახამხამების უმალ ჩამომხტარა და უტაცნია ხელი ბავშვისათვის. ორთქლ-მავალი დასჯახებია თავ-განწირულ კაცსა და ბავშვს და ლიანდაგის მარჯვნივ გადაუსროლია; საბედნიეროდ ორივენი გადარჩენილან. მემანქანეს თანაშემწე მხოლოდ ცოტათი დაბეჟილიყო, ბავშვს-კი სახე გაკაწრული ჰქონდა, ამ დროს მატარებელიც გაუჩერებიათ. მემანქანეს თანაშემწე წამომდგარა, ბავშვი ხელში აუყვანია, მიუტანია და გადაუცია გახარებულ დედისათვის, რომელიც ამასობაში მოსულიერებულა.

ევროპის მოსაზღვრე რუსეთის გუბერნიებიდან ყოველ წელს მრავალი მუშა ხალხი მიდის პრუსიაში სამუშაოდ. იქ კარგ ქირას აძლევენ სამეურნეო მუშებს, ასე რომ პრუსიიდან დაბრუნებულ მუშებს საერთო რიცხვით 8—10 მილიონ მანეთამდის მოაქვთ სახლში.

ხარკოვიდან შორეულ აღმოსავლეთში მიმავალნი მოწყალების დები, ძმები და ვაჟრები გულ-მოდგინედ ეძებენ თურმე იაპონურ ენის მასწავლებლებს და ვერ ჰპოულობენ. ხარკოვში რამდენიმე ჩინელი ცხოვრობს და იმათთვის მიუმართავთ. ჩინელებს ცოტათი სცოდნიათ იაპონური და ახლა თავის ცოდნას უზიარებენ ომში მიმავალ რუსებს.

20 მაისს უნდა გადაეხადათ პეტერბურგში რუსის ცნობილ კომპოზიტორის გლინკას დაბადებიდან 100 წლის იუბილეი და უნდა გაეხსნათ იმისი ძეგლი პეტერბურგში. უმაღლესის ბძანებით, შორეულ აღმოსავლეთში ომის გამო, იუბილეიცა და ძეგლის გახსნაც გადაიდო.

მოსკოვში არსდება ხეხილთა მოშენების მუზეუმი, რუსეთისა და უცხოეთის განყოფილებებით. უცხოეთის განყოფილებაში შეგროვილი იქნება ცნობები ევროპის ყველა ქვეყნების მებაღეობის შესახებ.

წერილები

ს. თამაკონი (სამეგრელო). შემოდგომის წყალდიდობას აქაურ ხალხის აზრით, დიდი თოვლი და ძლიერ ცუდი ზამთარი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ თოვლი თითქმის არ მოსულა, წვიმები-კი დაუსრულებელი იყო აპრილის ხუთამდის. ოთხ-აპრილიდან ოთხ-მაისამდე სრულიად არა უწვიმნია და ამის მიზეზით ყანების უმეტესი ნაწილი გაუთოხნელი დარჩა დღემდე, რადგან გვალვამ და დრო-გამოშვებით ქარმა ნიადაგი ძლიერ გაახმო და მურვან-ყრუის დროის სახნისი სრულიად არ მიიკარა. მეოთხე თვეა რაც ჩვენს სოფელში ქურდ-ბაცაცები გაგვიხშირდნენ და ქათმებს, კვერცხებს, ქვევრში ღვინოს და სასიმინდეში სიმინდს იპარავენ. იძულებულნი ვართ, ღამე ფხიზლად ვიყოთ. ამ გარემოებას ჯერ-ჯერობით არავინ არავითარ ყურადღებას არ აქცევს. ჩვენს მხარეში გლეხნი უკედ ირჩენენ თავს, რადგან შრომა სირცხვილად არ მიაჩნიათ. „კეთილ შობილნი“-კი ჯერ კიდევ სირცხვილად სთვლიან მუშაობასა და ზიზღით უყურებენ გლეხებს. ჩვენს მახლობლად მდებარეობს სოფ. კიწია, სადაც არსებობს ორ-კლასიანი სამრევლო სასწავლებელი, რომელშიაც ქართულს ასწავლიან. სამშობლო ენაზე სწავლამ დიდი სიყვარული მოუხვეჭა სკოლას ხალხის თვალში და ყოველ კუთხიდან ეტანებიან. საუბედუროდ, როგორც გავიგეთ, სკოლის ორ-სართულიანი შენობა ერთ მხარეს თავიდან ბოლომდის გახეთქილია; ამ მიზეზით მალე იძულებულნი იქმნებიან შესწყვიტონ სწავლა. კარგი იქმნება, ამ თავითვე შეუდგებოდნენ შენობის შეკეთებას. ჩვენს სოფელშიაც არსებობს ორ-კლასიანი სასწავლებელი სამეურნეო განყოფილებით. მასწავლებელნი ყველანი ქართველები არიან...

თ. გ. დ—ძე.

—

სოფ. ბარალეთი (ჯავახეთი). წელს მთელს ჯავახეთში წინა წლებთან შედარებით დიდი ზამთარი არ იყო და გამოზაფხულზე ძროხა[?] და ქერის დათესვა დროზე მოასწრეს. მაისის პირველ რიცხვებიდან თითქმის მთელს ჯავახეთში ყოველი ოჯახი ორად იყოფა: ერთი ნაწილი რჩება შინ ოჯახობის მოსავლელად და ნათესობის საპატრონოდ, ხოლო მეორე ნაწილი მიერეკება მეზობლებთან ერთად მთაში საძოვრად შინაურს საქონელს და იქ ატარებს მთელს ზაფხულს სექტემბრამდე. სწორედ ასევე იყო შემზადებული ხალხი საიალაღოთ, მაგრამ 11 მაისიდან ისეთი სიცივეები დაიჭირა და მთელს ჯავახეთში იმოდენა თოვლი დასდო, განსაკუთრებით მთა ადგილებში, რომ თითქმის ივნისის შუა რიცხვებამდე შეუძლებელი იქნება საქონლის გარეკვა. შარშანდელ ცუდის მოსავლისა გამო მეტად გაძვირებულია ქერი და დიკა, ასე რომ წინა წლებთან შედარებით ერთი-ორად უფრო ძვირად იყიდება. ბარალეთში არსებობს 2 კლასიანი ნორმალური სამინისტრო სკოლა. წელს ამ სკოლაში სწავლობდა 160 მოსწავლე და 28 მასწავლე ქალიც სკოლის ქალთა განყოფილებაში. აქედან ორი წილი ქართველია, დანარჩენი სომეხი. წელს სკოლა დაასრულა 6 ყმაწვილმა, 5 ქართველმა და 1 სომეხმა. ამ რამდენისამე ხნის წინად ახალ ქალაქში შემდეგი ამბავი მოხდა. სოფელ ალასტანის ერთი მცხოვრები კათოლიკე, საერობაში დარაჯად ნამყოფი, ამას წინად ქალაქში სწვევია ბიძაშვილ ქალს, რომლისათვისაც შეუმჩნევია 300 მან. ოქროს ნივთები. ერთხელ, როცა სახლში მყოფნი საქმეზე წასულან, შინ მარტო ქალი იყო, შეპარულა ბიძაშვილი, წაუჭერია ყელში თოკი და ქალი დაუხრჩვია. ნივთები მკვლელს ფეხსაცმლის ყელში ჩაუყრია და გასულა ქალაქს გარედ. მკვლელი დაატყვევეს და ნივთებიც აღმოაჩინეს. ჩვენსკენ მეტად გახშირდა წვრილმანი ქურდობა; განსაკუთრებით ხალხს მოსვენება არა აქვს ქვემო ქართლის ზოგიერთ მთიან სოფლის მცხოვრებ ქურდ-ბაცაცა ოსებისაგან. ქურდები ბაკურიანით გადმოდიან ჯავახეთის საძოვარ ადგილებში და ჩუმად ახერხებენ მოპარვას საქონლისას.

N.

—

ს. დიდი თონეთი. (ტფილისის მაზრა) 15—16 მაისს მოვიდა საშინელი წვიმა და ასტყდა ქარიშხალი. ძლიერ სიცივები დაიჭირა, რადგან გარშემო მთები დათოვლა. ბედენის მთაზე სიცივისაგან მოკვდა ორი მეცხვარე თუში და დაიხოცა აუარებელი ცხვარი. ვერა ბედავენ მეცხვარეები ცხვრის გარეკას თრიალეთის მთაზე. 19—20 რიცხვს განუწყვეტლად სწვიმდა, ასე რომ უჩინარი ღელეები მდინარეებად გადაიქცა. ალგეთში წისქვილები დაანგრია და ბევრი სხვა ზარალი მოახდინა ნიაღვრებმა. მეცხვარეებს უფქვილობამ გაუჭირა საქმე. მანგლისში გამომცხვარ რუსულ პურსაც ვერა შოულობენ სასყიდლად. ქინახულის იმედი სულ აღარ არის. ბალახმა გადაუარა; ხშირ წვიმებისაგან ნათესი სულ დალპა მიწაში; ნიაღვრებმა სულ ჩამორეცხეს ფერდობის ყანები. აქაურებს შიმშილობა მოელით. სასიხარულო ის არის მხოლოდ, რომ მოვიდა ბეითალი და ურიგებს ფულებს ჭირისაგან დახოცილ საქონლისას. გაზაფხული აქაურებს გამოეპარათ. მგონია ზაფხული გაზაფხულად გადაექცეთ.

მეგრელი

ღამის დეპეშები

24 მაისი.

პეტერბურგი. 23 მაისს არ მოსულა შორეულ აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობები.

მუკდენი. ბრძოლის ველზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). ნაღმიან გემების გამანადგურებელმა იაპონიის გემმა აღმოაჩინა და ააფეთქა რუსებისაგან წყალში ჩაწყობილი ნაღმი სანშანდაოსთან. იაპონელები სარგებლობენ წყლის ქვეშ მოსიარულეებით ტალიენვანის მახლობლად წყალის

დასახლებულია 220 კომლამდე მეგრელი. ესენი უკანასკნელ ომის გათავებისთანავე გადმოსახლდნენ აქ და გვარიანადაც მოეწყვნენ. ერთი ამ გლეხთაგანი, გვარად კ—დია ამას წინად შემხვდა და შემდეგი შემომჩივლა. მომყავს თითქმის სიტყვა-სიტყვით მისი ნაუბარი: „ოც წელიწადზე მეტია, რაც ჩვენ, მეგრელები, სენაკის და ზუგდიდის მაზრებიდან თავადის მამულზე დავსახლდით, და ამ ხნის განმავლობაში ჩვენი სიყმაწვილე, ძალი და ღონე ამ მამულების შემუშავებას ზედ შევალიეთ. ენით ვერ გამოსთქვამს კაცი, თუ რა ჭირი, შრომა და ჯაფა გამოვიარეთ. მარტო ციებ-ცხელებამ ჩვენ რა საქმე გაგვიჭირა, ვერ გამომითქვია ენით. დიდები, როგორც იყო, ვუძლებდით ამ უღმობელს სენს, პატარებს-კი მუსრს ავლებდა და ავლებს ეხლაც. აი, ამდენ წვალების შემდეგ, როცა ცოტაოდენი ლხენა ჩვენც გვეღირსა, ეხლა ისე აწყობენ საქმეს, რომ ძალა უნებურად ჩვენს სათაყვანებელს[?] თავი უნდა ვანებოთ და მოვშორდეთ. თავადის საყვედურს ჩვენ ვერ ვიტყვით, ის მუდამ გულ-მტკივნეულობით გვეპყრობოდა. მისმა მოურავმა-კი ძალიან შეგვაწუხა. საქმე ის არის, რომ, რაც ჩვენ პირობები გვეწერა, ყველა წლეულს დაარღვია. ჩვენის პირობით, თითო ქცევა მიწა უფასოდ ეზოდ გვეძლევოდა, საბალახოს არაფერს ვიხდიდით, საშენებელი ხის მასალა თავადის ტყიდან უფასოდვე გვეძლევოდა; ფიჩხსა და წკნელში არაფერს ვიხდიდით, საყანე მოსაჭრელი მუშა შინ სახმარებლად მანეთად გვქონდა და მოსავლის მხოლოდ მეოთხედი უნდა მიგვერთმია დალად ბატონისათვის. დღეს-კი გამოგვიცხადეს: ეზოს ფულად ხუთ-ხუთი მანეთი უნდა იხადოთო, შეშის მოჭრის უფლება წაგვართვეს, საბალახოდ თვითეულ სულ ცხოველზე ბაჟად თვეში დაგვადეს თითო აბაზი, ასე რომ ჩემს ღორს თორმეტი გოჭი ჰყავს; ამ გოჭებშიაც თვეში თითო აბაზი საბალახო უნდა ვაძლიო ასე შევიწროებული ვყევართ ბატონ მოურავს. ჩვენი უბედობა ის არის კიდევ, რომ ბ-ნი მოურავი თვალადაც არ გვეჩვენება, რომ ჩვენი უბედურება პირადად არ ავუხსნათ მას, ემინია. ეხლა თავადს ვუგზავნით თხოვნას; თუ იმანაც არ შეგვიწყნარა, კანონმაც ჩვენზე ხელი აიღო, უნდა მოვშორდეთ ჩვენის ოფლით და სისხლის ნაკადულით გაპოხიერებულს მამულსაო“. მხოლოდ იმ კაცს, ვისაც ნათლად შეუძლიას წარმოიდგინოს, თუ რა გაჭირვება, შრომა და ოფლის ღვრა გამოიარეს გარეწ—ბაბუშრელმა მეგრელებმა, იმას შეუძლიან გაიგოს მათი დღევანდელი უმწეო ყოფა-ცხოვრება. სულ სხვა რიგად და წესად მოიქცა თავად შ—ძის მოსაზღვრე მემამულე თავ. გ. ე—ი. ამ თავადმა არც აცივა, არც აცხელა და პირდაპირ უბრძანა თავის მამულზე ოც წელი წადზე მეტს მცხოვრებ მეგრელებს: თქვენთვის ისიც კმარა, რომ ოცის წლის განმავლობაში დალად მხოლოდ მოსავლის მეოთხედს იხდიდით. ეხლა მამული გაკეთდა და გაიწმინდა, გნებავთ მესამედი მომეცით, თუ არა და თავიდან დამეკარგენითო“. უტევმა მეგრელებმაც წამოიკიდეს თავისი ავლა-დიდება, რომელიც, მართალია კურდღლის აკიდება, და გაუდგნენ გზას და ის მამული, რომელშიაც თავისი სიცოცხლე ჩაალიეს, სხვას დარჩა. იქ შეუნიშნავთ, რომ თავ. ე—რი პირველია მთელს აფხაზეთში, რომელმაც მეოთხედიდან მესამედამდის ჩამოიყვანა დალა. უთუოდ მიმბაძველნიც ბევრი გამოუჩნდება.

სოფელ მესხეულის მცხოვრებ მეგრელებს სხვა მხრით დაატყდათ თავს უბედურება. რაც ეს სოფელი გაშენდა 22-23 წლის განმავლობაში ქართველი მღვდელი ქართულად სწირავდა და მით სამშობლო ენაზე ლოცვა-წირვის მოსმენის საშუალებას აძლევდა; წრეულს-კი მამა ჯაში გურიაში გადაიყვანეს და იმის ადგილას დაინიშნა ქართველი მღვდელი მამა იასონ ჩა—ძე, რომელმაც ქართული წირვა-ლოცვა მოსპო და სლავიანურად დაიწყო მრევლი ევედრება: სლავიანური არ გვესმის, ქართულად გვიწირეთ. სულიერი მამა კი სხვანაირად სჯის და მრევლის თხოვნას არ ასრულებს. ამავე გზას იმ თავიდანვე დაადგა მეორე ქართველი მღვდელი, რომელსაც თავი მოსწონს კახელ აზნაურიშვილობით. ამას აბარია მეგრელთა სოფელი ფშაფი. ფშაფელები უმტკიცებენ, რომ ისინი ქართველნი არიან. ხოლო მამა ხ—ვი არწმუნებს, თქვენ ქართველები არა ხართო. ამ დავასა და დავიდარაბაში არის. უბედურება ის არის, რომ ერთმანეთი ვეღარ დაარწმუნეს!

ორიოდე სიტყვაც ბ-ნ ბ. ხ—სა და ოჩამჩირელთ შესახებაც. დაბა ოჩამჩირეში არსებობს ორ-კლასიანი ნორმალური სკოლა, რომლის ზედამხედველადაც ბ-ნი ხ—ვა გახლავსთ, სამურზაყანოელი მეგრელი. დიდი ხანია ზედამხედველსა და ოჩამჩირელთ შუა ხათაბალაა ატეხილი; ერთ დროს მცხოვრებლებმა მოიგეს და ბ-ნი ხ—ვა დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან. მაგრამ მერე ისევ სასწორი ამ უკანასკნელისაკენ გადაიწია და ისევ ზედამხედველად დაინიშნა... ეხლა ისევ ატეხილა უკმაყოფილება: ხალხი სთხოვს სხვა ვინმე დაუნიშნეთო. რა მიზეზია ამგვარი სიძულვილი ხალხისა ამ კაცისადმი, თვით მკითხველისათვის მიგვინდვია გამოსაკვლევად. ამას-კი დავსძენთ, რომ სკოლა —ორი თვეა, რაც დახურულია.

სოხუმელი

ნაღმების გასანადგურებლად. მოვიდა დაწვრილებითი ამბები იმ შეტაკებათა შესახებ, რომელიც მოხდა 17 მაისს პულანდიანის ნახევარკუნძულზე. იაპონიის კავალერიამ, რომელიც ადგილებს ზვერავდა, შეიტყო, რომ ყ-ზახებმა დაიჭირეს ტელისუ და გამოუდგნენ რუსების რაზმს, რომელიც 2 ესკადრონისაგან შესდგებოდა. ხუნქოტუნთან რუსებს შეუერთდა ორი სხვა ესკადრონი, ლუნგვანგმიაოსთან კი—კიდევ ქვეითა ჯარის ხუთი როტა და ველის არტილერიის ბატარეა. იაპონელებმა ხელ-ახლად იერიში გამართეს მათ წინააღმდეგ. რუსებმა დაიწყეს ტელისუსკენ. იმავე ღამეს მოხდა შეტაკება რუსებისა და იაპონელების კავალერიათა შორის.

ტოკიო („როიტ. სააგ."). სფრანგეთის მოხელეებმა გამართეს მარკონის სისტემის უმავთულო ტელეგრაფის სადგური ცინვანდაოში, ლიაოდუნის ყურეს ნავსადგურში, რომლის შესახებ ხელშეკრულობა დადებული. იაპონელები ცდილობენ ამოიღონ ნავთმაინი კრეისერი „მიაკო", რომელიც ჩაიძირა კერრის ყურეში.

ჩიფუ. („როიტ. სააგ."). იაპონელთა ჯარი ამ ქამად სდგას ხუანლინგეიდან ნანგ-ზაიზამდე, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, პორტ-არტურიდან 12 მილის მანძილზე. მოწინავე სადარაჯო რაზმები პორტ-არტურიდან 4 მილის მანძილზე დგანან. არის იმის საბუთები, რომ რუსეთის ფლოტი პორტ-არტურში ელდება გავიდეს ზღვაში და იერიში მიიტანოს იაპონის ფლოტზე იმ დროს, როცა იაპონელები იერიშს მიიტანენ ციხეზე ხმელეთიდან.

23 მაისი

პეტერბურგი. 22 მაისს პეტროგოვის მახლობლად დაემუ აეროსტატი მფრინავს სამეფო საავრონავტო მატარეობისა, რომელმაც მფრინავი 3 აეროსტატით ცათაში მოკლა. აეროგრაფს გაუმართლდნენ და შემჭიდროვეს აერშიამ.

24 მაისი

სალონიკი. მოხდა სამინელი აფეთქება მატარებელში, რომელიც ბრბოს გადაიყვანდა ... [illegible] ... მოკლულია ერთი მოსამსახურე და დაჭრილი—ორი. ამ უბედურ შემთხვევას ბოროტი განზრახვაა ეწერება.

სოფია (ოპოზიციური „ფრეიე."). რადგან მაკედონიიდან საშურახო ამბები მოდის იმის შესახებ, რომ ახრადის ოლქი უეწვდად დაიმპვეო, გარდახეფრით დეპუტაციამ განუმარტა მინისტრპრეზიდენტს თუ დიპი საშუფხოში მდგომარეობა და შემწეობა სთხოვა. მინისტრმა დაჰპირდა, საქმეს განუმხილავ და ქვეყანაშრის ავსურვეტს, რაც კი შესაძლებელია.—ბერძენის სინოდმა სტამბოლში გადაწყვიტა წერილით პროტესტი გამოეცხადოს ამის წინააღმდეგ, რომ ბორისმა ზოდავართ საკითხი კუთვიდებოთა სასურგდეგ გადაწყვიტოს, რადგან ეს საეკლესიო განხილვის არსებებს და შეიძლება ხსოვნაშ გამოიწვიოს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამზახათოზით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანს და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერივან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. 2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

შორაპანამდე: № 4 5/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

განცხადებანი

ტელეფონი № 603

სავაჭრო სახლი

„ე. ტ. ლოჟრის-მელიქოვი და ამხ."

აუწყებს ბ.ბ. არხიტექტორებს, ქალაქის და ქალაქ გარედ მყიდველთ, რომ მის საწყობში რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში, ორბელიანის ქუჩაზე, კ. ს. კუზანოვის სახლში, ყოველთვის არის დიდძალი **გემსკის** და უბრალო შუშები ფანჯარებისთვის ყოველნაირი ზომისა.

ჩრდილოეთის შუშის მწარმოებელ ამხ. დონეცკისა, მალცოვისა და სხვა ქარხნების. ჰკისრულობს ჩააზაროს ამას გარდა ფანჯრისა და ხომალდის შუშები და აგრეთვე ცამზადოს სარკის შუშები დეკანდენტურ ჩარჩოებისთვის.

იმ პირთ, რომლებიც განსაკუთრებით ფანჯრის შუშებით ვაჭრობენ, ნაკლებ ფასებში ეთმობათ.

ტელეფონი № 603



СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

Продаются всевозможн. сѣдла

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, სახაფხულო სობრანიის ახლოს. (წ.—176—24)

სასტუმრო **იალტა** ნომრებით

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქ. კუთხეში. სადილი **ორი** თავით, პიკა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 50 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 კ. სადილი **სამი** თავით, პიკა არაყით, 1/2-ბოთ. ღვინით და ფინჯანი ყავით 75 კ. ღვინო ბოთლი 30 კ. და ძვირფასიც. თვიურათ იაფათ და ეძლევათ აბონიმენტები. სადილი—11—5 საათ. დილის და 5—12 ს. სღ.

(88—52—28)

კბილები

და მათი მოვლა-შენახვა

სამხ.-სამკ. აკადემ. პრივ.-დოც. პ. თ. ფედოროვისა, თარგმ. კბილის ექ. ი. პ. ახალშენიშვილისა. **იხყიდება:** „ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ." და „წიგნ. გამომც. ქართ. ამხ." წიგნის მაღაზიასა და კიოსკში და მთარგმნელთან (ელისაბედის ქ., № 38). ვინც ნაღდ ფულად 100 ცალზე არა ნაკლებს დაიბარებს, 40%-დაეთმობა. წიგნაკს დართული აქვს 7 ნახატი (ორი ფერადი), შეიცავს 124 გვ. და ღირს 40 კაპ.

(0—ნ.—11)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, შინაბიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ცნობილი დრეზდენელი თერძი

კ. პ. კრყივძინსკი

ტფილისი, პუშკინსკი პასსაჟი, № 18/20

ახალ ტანისამოსების—სამხედრო, სამოქალაქო და ქალების კაბების—შეკერვის გარდა იღებს ყოველგვარ **ძველ ტანისამოსის გაახლების** საქმესაც, უკანასკნელის სისტემით, როგორც მიღებულია პარიზის ლაბორატორიაში. იქვე იყიდება ქალის კაბების ვიკრონკები.

(5—35—3)

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო

ამა წლის 22 აპრილიდან ვნიშნავ უკანასკნელ გაყიდვას, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემს სამებელო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.

გადაჭრილი ფასებია დანიშნული.

ნარდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.

(60—189—19) პატივისცემით ბ. გ. ბერიევი

თმის ჩამოცვენას სპობს

მეიერის მიკსტურა.

ფასი 1 მან. 25 კაპ.; პეტერბურგსა და მოსკოვში მიკსტურა დამკვეთელთ სახლში გაეგზავნებათ და გასაგზავნი ფასი არ გადახდებათ. ხოლო ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ორი ფლაკონი 3 მანეთად გაეგზავნებათ. უმთავრესი საწყობი: ს.-პეტერბურგი, მეიერი, ნადეჟდინსკაია, № 11; მოსკოვი, ძმ. ჰორნ, მალაია ლუბიანკა, ფრანგთა ეკკლესიის შენობა.

(პ. 1—1)

ტრიოხგორნი ლუდხანის ამხანაგობა მოსკოვში

ყოველ დღე ამზადებს 3.500,000 ვედრა საუკეთესო ხარისხის ლუდს, რომელიც დაჯილდოვებულ იქმნა სახელმწიფო გერბით 1882 და 1896 წ. წ. გამოფენაზე. ამხანაგობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ განიზრახა ყოველ დღე მიაწოდოს ადგილობრივ მომხმარებელთ ახლად დამზადებული ლუდი რაც შეიძლება ნაკლებ ფასად და ამიტომ დააწესა ლუდის გამოგზავნა ტფილისში საკუთარ საყინულე-ვაგონებით. ტფილისში ნარდათ სავაჭრო ცენტრალური საწყობი ურჩევს მსურველთ იყიდონ ხოლმე უმაღლეს ხარისხის ლუდი:

სუფრაზე სასმარებელი (თეთრი) დაწყებ. ფასი მაღაზ. 15 კაპ. ბოთლი (1/20) უჭურჭლოდ.
კულმბახის (შავი) „ „ „ 16 „ „ „ „

ბოთლები ფირმისა სახელმწიფო გერბით არის, კაპსიულებით. ცენტრალურ საწყობის კანტორა თავის თავზე იღებს ლუდის სახლში მიტანას: სუფრაზე სასმარებლისა 14 კაპ. ბოთლი, კულმბახისა 15 კაპ. ბოთლი (1/20 ვედრისა), ჭურჭლის ბე 6 კაპ.

ადრესი: პუშკინის ქუჩა, № 11, წურინოვის პასსაჟი. **ტელეფონი № 1013.**

შენიშვნა: ტფილისს გარეშე მყიდველთ, თუ მოისურვებენ, ლუდი გაეგზავნებათ პასტერის სისტემით დაწმენდილი (ექსპორტ) და ღვინის ჭურჭლებში ჩასხმული.

(50—35—2)

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მაღალი-მაღალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისისა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО — С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთისა და საზღვარგარეთ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლ ე ო პ ო ლ დ ნ ე ი შ ე ლ ე რ"-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6.—34)